№ 844 ხუთშაბათი, 17 ივნისი. 1896—1899 ხუთშაბათი, 17 ივნისი № 844

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დახაკვეს
თად მიჰმართავენ რედაქციას დილი-
10 -3 საათამდე და საღამოს 6—7
დან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.
Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 3 მან. 50 კაპ.

## რედაქციისაგან

ექსპედიციის უთავბოლობით ზოგიერთს ჩვენს ხელის-მომწერლებს გაზეთი დროზე ვერ მიუღია. ჩვენ ვეცდებით დღეიდან აღარ განმეორდეს ეს სამწუხარო უყურადღებობა. (3—2)

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი



ქეფირი და კუმისი




ერთად ერთა ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.
მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.
იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—30) ო. კორონა.

!!მიაქციეთ ყურადღება!!
ჩინეთის მაღაზია
დ. ფ. დემენტიევისა
გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.
ივემეთ ჩაი პირველი მოკრებისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი
ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიობით
ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და სათვალსაჩინო ნივთს.
ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას
საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი
იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია
საჩუქრებისა და ნობათებისათვის
მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში
!!მიაქციეთ ყურადღება!!
(100—38)

კვირას, 20 ივნისს, საღამოს 8 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მეორედ საგანგებო საზოგადო კრება ქართველთა სესხის მიმცემი ამხანაგობის

„შუამავლისა"

კრებამ უნდა აირჩიოს ახალი თავმჯდომარე გამგეობისა ნაცვლად ადნიაშვილისა, რომელიც თავს ანებებს ამ თანამდებობას.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

გამოვიდა და იყიდება
ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებსა და ეკკლესიებშიაც
ცხოვრება წმ. დიდის მოწამისა
იაკობ დაჭრილისა
მეორე გამოცემა მორჩილის რაჟდენ ბარამიძისა
ფასი ერთი შაური. (10—1)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ზერატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

* * * ფრიად საჭირო გამოკვლევა. გუშინდელ „ივერიაში" დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ანტონ ფურცელაძისა, სოფლის ინტელიგენციის მიმართ, შესახებ მიწად მფლობელობისა ჩვენში ანუ უკეთ რომ ვსთქვათ მიწის სიმცირისა ანუ სრულებით არ ქონვისა. წერილის ავტორი აღნიშნავს რა მართლაც უკიდურეს მდგომარეობას ჩვენის გლეხ-კაცობისას, სთხოვს ყველას პასუხს შემდეგ კითხვებზე: 1) რა სოფელში რაოდენი კომლია, განურჩევლად წოდებისა, სრულიად უმამულო. 2, რაოდენი კომლია, რომელსაც მარტო სახლკარი აქვს, და სხვა არაფერი. 3. რაოდენი კომლია, რომელთაც ერთი დღის მიწა, ორი დღის მიწა და ამ გვარად მეტად მცირე მამული აქვთ. 4. რაოდენი კომლია, რომელთაც საკუთრება არა აქვთ და მარტო ნადელებით სცხოვრობენ. 5, რაოდენი კომლია მცირე ნადელიანი და რამდენისამე დღის ნადელი აქვს. 6, ვის რაოდენი დღის ვენახი აქვს საკუთარი ან ნადელისა. 7, შუათანა რიცხვი, რამდენი სულიდგან შესდგება კომლი სოფელში და სხვა ამგვარი, რომლიდგანაც შეიძლებოდეს გამოირკვეს, საჭიროა თუ არა ჩვენის ქვეყნის ხალხისათვის მამულების დამატება და შეიძლება თუ არა იმ მამულებით, რომელიც უჭირავთ ცხოვრება და სახელმწიფო და საზოგადო გადასახადების გაძღოლა.

ამის პასუხი შეიძლება გაიგზავნოს როგორც „ივერიის" აგრეთვე „ცნობის ფურცლის" რედაქციაში და როცა მოსული ერთად მოიყრის თავს, მაშინ იმედია, რომ რაიმე მალამო დაედოს ამ ჩვენ ცხოვრების უდიდეს სატკივარს.

* * * საზაფხულო პედაგოგიური კურსები ტფილისში. კურსებზე მოემატა კიდევ ათამდე კაცი. კვირას, 13 ივნისს, სემინარიის ეკკლესიაში ჰგალობდა სამი ხორო კურსებზე მოწვეულ მასწავლებელთაგან შემდგარი: რუსული—შჩეპატინის ლოტბარობით, ქართული—ს. წერეთლის ლოტბარობით და იმერული—გ. შარაძის მეთაურობით.

მწირველი ბრძანდებოდა სემინარიის ინსპექტორი ...

ნაზონი მამა დიმიტრი სამი თანამწირველის მღვდლებით. წირვაზე განიცადეს დროს სემინარიის მოძღვარმა მ. ლაბაძემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოჰხატა მნიშვნელობა სწავლა განათლებისა უფრო და უფრო სოფლად და ეს განათლებულნი არიან დამსწრე მასწავლებელნიო.

14 ივნისს პირველი გაკვეთილი მისცა მოხისის (გორის მაზ.) ერთ კლასიან სკოლის მასწავლებელმა ბ. გორდელაძემ საღმრთო წერილში, მეორე გაკვეთილი მისცა რუსულს ენაში სოფ. როხის (ქუთ. გუბ. და მაზრა) მასწავლებელმა ბ. მიხ. სუპატაშვილმა, ხოლო მესამე გაკვეთილი ქართულს ენაში მისცა ტირძნისის ორ-კლასიან სამრევლო სკოლაში ახლად კურსდამთავრებულმა წერა-კითხ. სკოლის მასწავლებლის წოდებით ბ. კვანჭახაძემ. საღამოს $6^1/_2$ საათზე დაიწყო გარჩევა ამ დღეს მიცემულ გაკვეთილებისა, რომელზედაც ბ. გორდელაძის გაკვეთილი თითქმის ერთხმად იქმნა მოწონებული. ბ. სუპატაშვილის გაკვეთილიც ცოტაოდენი მცირე შენიშვნების შემდეგ მოწონებულ იქმნა. შე'ახებ ბ. კვანჭახიძის გაკვეთილისა ხელმძღვანელმა ბ. ილ. ფერაძემ სთქვა: „რომ გულახდითა ვსთქვა მესრულებით არ მოველოდი, თუ ეს ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, ახლად პირველ დაწყებით განათლება მიღებული ორ-კლასიან სკოლაში, აასრულებდა დანიშნულს გაკვეთილ გეგმასო. ეხლა კი დავრწმუნდი ამ ახალგაზდა ყმაწვილი კაცის მიერ მიცემულ გაკვეთილის შემდეგ, რომ შეუძლიან ტირძნისის ორ კლასიან სკოლას მიგვიმზადოს წერა-კითხვის სკოლებისათვის (Для школъ грамоты) მასწავლებელნი, რისთვისაც ვუსურვებ წარმატებას ხსენებულ სასწავლებელს“.

მცირე შენიშვნების შემდეგ ეს გაკვეთილიც მოწონებულ იქმნა.

ამ დღეს პირველი გაკვეთილი სალმრთო სჯულში მისცა ს. ცახის (გორის მაზრა) მასწავლებელმა ბ მიხ. ბადრიაშვილმა, მეორე გაკვეთილი რუსულში ალექსანდროპოლის სკოლის მასწავლებელმა ბ. მაზმანოვმა და მესამე გაკვეთილი ქართულს ენაში მისცა ხირსის მონასტრის სკოლის მასწავლებელმა ბ. ვასილ კობიაშვილმა. საღამოს გარჩევაზე შენიშვნების შემდეგ უფრო და უფრო ბ. ბადრიაშვილის და ბ. კობიაშვილის გაკვეთილები იქმნა მოწონებული,

საზოგადოდ სანიმუშო გაკვეთილებს ჯერჯერობით კარგათ ატარებენ, რასაც ვაწერთ ხელმძღვანელთა ბეჯითობას და მოწინავე სამაგალითო გაკვეთილების გავლენას.

ონისიმე.

*** მოხერხებული ქურდობა. 1) ამ ცოტა ხანს წინეთ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიის ეზოში შემოვიდა ერთი რუსი და წინამძღვარს მოახსენა: „კნიაზ ჯორჯაძემ, საჩუქრათ ორი ფუთი ბალი და ორი ფუთი ღვინო, უნდა მოგართვათ, ჰურჭელი გვიბოძეთ და დღესვე ხსენებულს ძღვენს მოგართმევთო“.

— წინამძღვარმაც, როგორც ჯორჯაძის ნაცნობმა, დაიჯერა და გაატანა ორი ტიკჭორა და ერთი კარგი ხურჯინი; ის დღეა და ეს დღე, აგერ ბლობაც ლამის მოილიოს და არამც თუ საჩუქარი, თვით ჰურჭლის სულიც დავივიწყეთ.

2) ორი დღის შემდეგ, ისევ ის რუსი მოსულა მეტეხის ციხის ეკკლესიის მღვდელთან და იგივე მოუხსენებია, რაც ქვაშვეთის წინამძღვრისთვის. მეტეხის მღვდელს ოქროპირიძეს, უკითხავს,: „მე ჯორჯაძე საიდამ მიცნობსო?!“ იმასაც მოუხსენებია: „ჯორჯაძეს ამ ციხეში, შვილი ჰყავდა დაჭერილი, თქვენ იმას ძალიან თავაზიანად მოქცევიხართ და იმასაც მამისთვის უთხოვნია, რომ თქვენთვის რითიმე პატივი ეცა, ამისთვის გიგზავნითო“. მღვდელიც დარწმუნებულა და გაუტანებია ღვინისთვის, ერთი კარგი ცხრა თუნგიანი ტიკი და ბლისთვის კარგი ყუთი, თანაც ერთი მანეთი საჩუქრად მიუცია ფაიტონის ფულათ და გაუსტუმრებია; გადის დღენი და არც ღვინოა და არც ბალი...

3) ესენი კიდევ არაფერი. ამავე რიცხვებში, მისულა ნავთლუღში წმ. ბარბარეს ეკკლესიასთან ერთი ამხანაგით; გაავდარებულა და მღვდლის ჯიჯავაძესთვის, თავის შეფარება უთხოვნიათ, მღვდელსაც მიუწვევია. შინ მუსაიფის დროს წყალი მოუთხოვნიათ და რადგან მღვდელს მსახური შინ არა ჰყოლია, თვითონ მისულა წყლის შემოსატანათ. ამ დროს იმათ სტოლის უჯრა გამოუწევიათ და 800 მანეთი, რომელიც სახლების ფულად ბანკში წასაღებათ დამზადებული ჰქონია, ჯიბისთვის უკრავთ..,

წყლის დალევის შემდეგ მღვდელისთვის დიდი მადლობა გადაუხდიათ და ერთი ცარიელი ტომარაც უთხოვნიათ, რადგან საჩუქრად ფქვილს დაჰპირებიან. ტომარა წაუღიათ და წასულან.

— ჯიჯავაძესაც დაუპირებია ბანკში გამგზავრება, უნახავს ფული და ხახამშრალი კი დარჩენილა. აქეთ პოლიცია იქით პოლიცია, მაგრამ მათი ასავალ-დასავალი დღესაც დაბნეულია. როგორც ზევითა სჩანს, ყველა მღვდლებთან სდომებია ჩამოვლა, მაგრამ ბადეს რომ ბლომათ მოხვდერია სხვებისთვის თავი მიუნებებია...

ვნახოთ რით გათავდება საქმე!..

!!

*** ზარზმის ტაძრის შეკეთება. დიდებულს ზარზმის ტაძარში, ქვაბლიონში დღემდე კარგათ არის დარჩენილი სურათი თორნიკე ერისთავისა, სურათის წარწერა მოწმობს, რომ ოდესლაც სკოლაროსი გავაქციეთ, ამ გამარჯვების სამახსოვროთ ეს ტაძარი გავაახლეთ და დავახატვინეთო. ამბობენ, რომ ზარზმს შეკეთებას უპირებენო. ღმერთმა ქმნას. ქვაბლიონში 45-მდე სოფელია, ქართული ენა 10 სოფელმა იციან, დანარჩენში მოსპობილა.

*** არტისტის ვ. აბაშიძის მოგზაურობა პატარა დასით იმერეთში. საზაფხულოდ ჩვენს ნიჭიერს არტისტს ვასილ აბაშიძეს შეუდგენია პატარა დასი და იმერეთს აპირებს მგზავრობას და დაბა-სოფლებში ქართული წარმოდგენების მართვასო.

*** დაბადება ქართულ ენაზე. ცნობილს პატივცემულს ვინმე მესხს (ივანე გვარამაძე) ქართულის მდაბიურის ენით დაუწერია მთელი ქართული „დაბადება“.

*** ქართველი კარდინალი. ამ საუკუნის 1820 წლებში რომში, პაპის კარდინალებთ შორის ქართველ გვარის კარდინალით იოანე ლეონიძე ყოფილა. ამის ცხოვრების ცნობებს დროზედ გავაცნობთ მკითხველს. ეს ცნობა პირველად ცხადდება ქართულს მწერლობაში.

*** გურია-სამეგრელოს კათედრის გადატანა ფოთიდან ქ. ოზურგეთში უმაღლესს სასულიერო მთავრობის უკვე შეუწყნარებია, თურმე, აზრი შესახებ გურია სამეგრელოს კათედრის გადატანისა ქალაქ ფოთიდგან ქ. ოზურგეთში.

*** მთავარ-მართებლის კანცელარიის გასვლა საბკარახკოდ. კანცელარიის დირექტორი და ზოგიერთი მოხელენი კანცელარიისა გაემგზავრება კოჯორს ამ თვის 22-სა.

*** ქუთაისის ბანკის მუამდგომლობა. უკანასკნელ კრებაზე ქუთაისის ბანკს დაუდგენია, აღძრულ იქმნას სადაც ჯერ არს, რომ ბანკმა გრძელ ვადიანი სესხი გასცეს ხოლმე ქუთაისის გუბერნიის ყველა დაბებში და აგრეთვე ბანკის მოქმედება გავრცელებულ იქმნას მთელს კავკასიის მხარეში.

*** ახალი წიგნები: ჩვენ მივიღეთ მოსე ჯანაშვილის მიერ შედგენილი რუსული წიგნი სახელად: „Каталогъ церковнаго музея грузинскаго экзархата № 2“, რომელშიაც ანუსხულია სიგელები და გუჯრების სხვა-და-სხვა ხელნაწერები, ხატები, ძველი ფულები და სხვა, რომელნიც ამ უკანასკნელ ხანებში შეუძენია საეკლესიო მუზეის. წიგნაკი ღირს 10 კაპ

— ჩვენ მივიღეთ რაჟდენ ბარამაძის მიერ გამოცემული „ცხოვრება წმ. დიდისა მოწამისა იაკობ დაჭრილისა“. წიგნაკი სუფთად არის გამოცემული და ღირს ერთი შაური.

*** ს. ნოსირი. (სამეგრელო) აქაური ავი და კარგი. სოფელი ნოსირი ეკუთვნის ახალი სენაკის მაზრას და მდებარეობს აღმოსავლეთით სამი ვერსის მანძილზედ აბაშის საბოქაულოში. უჭირავს მთლად ვაკე და ბუნებით სამსე ადგილი, სადაც მცხოვრებთა რიცხვი ითვლება თითქმის ოთხას კომლამდე. მათ შორის მეტი წილი უფრო გლეხთაგანია და დანარჩენი თავად-აზნაურობა. აგრეთვე არის აქ ერთ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, სადაც სწავლა ამ ჟამად სამშობლო დედა ენისა ძალიან მცირე წრეზედ დგას, მაგრამ იმედია აწმყოში მაინც ეს ნაკლულევანება გასწორდეს, რომ სამშობლოსათვის გამოდიოდნენ ერთგულნი და გულ-შემატკივარნი შვილები.

— სამაგალითო მოძღვარი. სხვათა შორის არ შეგვიძლიან ორიოდე სიტყვა არ ვსთქვათ აქაური წმინდა გიორგის ეკკლესიის თაობაზედ ეს წმინდა ეკკლესია აშენებულია ამ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში შიგ ნოსირში, სადაც შენობა ხისაა, როგორათაც ჩვეულებრივ წესათ აქვთ აქაურ მცხოვრებს. ჟამთა ვითარების გამო ეს საყდარი ძრიელ დაძველდა ამ ბოლოს დროში, ასე რომ წვიმიან დღეს მღვდელს არ შეეძლო წირვა-ლოცვა შეესრულებინა, რადგანაც ყველა კედლებიდან და ჭერიდგან საშინლად შიგ შუა საყდარში წვეთი ჩამოდიოდა. ბოლოს იძულებული შეიქნა ამ საყდრის შტატის მღვდელი მამა ლოზაძე რამე ღონისძიება ეხმარა ამ საქმისთვის და მიმართა მან თავის მრევლს, რომ საყდარი გადაეკეთებინათ, მაგრამ საუბედუროთ ბადლად იმისა, რომ ხალხი სიხარულით მიგებებოდა ამ საქმეს, იმათ უარი ჰყვეს, რადგანაც სოფელს უჯდებოდა თითქმის ხამას თუმნამდე, რომელიც შეადგენდა მათთვის დიდ

შევიწროებას, როგორათაც ბუნებიდან ნაკლები და შევიწროებულ ხალხთ. ყველა ასეთი საქციელი გამოიწვია ჩვენმა პატივცემულმა მ. ლაზარემ, რომ გამგზავრებული იყო სხვათა ქვეყნებში ფულის შეს აგროვებლად ამ ფრიად სასარგებლო საქმისთვის სადაც კიდევაც ასრულდა. ამ წასულ ენკენისთვეს გამგზავრა მოსკოვში იქიდან კიდევ სხვა ადგილებში, მართლა დიდი სახელი გაითქვა მან სადაც მივიდა ამ საყოველთაო საქმეზე და ამ ბოლოს დროში კიდეც შეკრიბა ჯეროვანი ფული რამდენიმე თვის განმავლობაში და მოსვლისათანავე გულით და სულით შეუდგა თავის დაწყებულ საქმის აღორძინებას, რის მეოხებით დაიმსახურა ხალხში სიყვარული და პატივისცემა.

თუმცა ჯერჯერობით მ. ლაზარე 60 წლისაა მაგრამ რაც შეეხება ფიზიკურ ჯანმრთელობას, ის კიდევაც ახალგაზდას გადააჭარბებს. სწავლა აქვს მიღებული ძველ დროებიდან სასულიერო სასწავლებელში.

აჭაური არჩილა

*** ს. ზანა. (სამეგრელო) კანალამ ხუთი მსხვერპლი. ამ სოფლიდან თუთის ხის ფურცლისათვის ერთი კაცი და ხუთი ქალი ურმით გამგზავრებულან ს. კირცხში. გზაზე მდინარე ხიბი-წყალი ჰქონდათ გასავლელი. ერთი ზანელი ცხენიანი კაცი შეხვედრიათ. ამ ცხენიან კაცს ხარის ბაწრისათვის ხელი მოუკიდია და წინ გაუძღოლია; შუა წყალში თოკი გავარდნოდა ხელიდგან, წყლის სიმძლავრეს ხარები მიუბრუნებია და შუა წყალში მიმდინარეობისაკენ წასულა. როცა ტბაში ჩავარდნილან, ურემზე მსხდომნი გადაცვივნილან, მაგრამ მათს ბედზედ იქვე გაჩენილათ სოფ. ზანის მცხოვრები გლეხი ბართლომე მირგატია, რომელსაც უვნებლად გადურჩენია ხუთივე სული. სასურველია ყურადღებას მიაქცევდეს ვისიც ჯერ არის და დააჯილდოვებდეს ამ გვარ პირთ გასამხნევებლად, თორემ ბევრი ცურვის მცოდნენი ერიდებიან ამ გვარებს, თუ არ ჯილდოსათვის...

გურულ-მეგრელი.

## ყურმოკრული საუბარი

—

მინდორზე გამხლართულან ორი კინტო ბიჭები, თავპირი დალურჯებული, სისხლიანებული აქვთ და ერთი-მეორისათვის თმაში წაუვლიათ ხელი. გაკვირვებული მგზავრი დაეკითხა:

— კაცო რას შვრებით!

— ვა არ ხედავ, რომ ვისვენებთ, უთხრა ერთმა.

— როგორ თუ ისვენებთ, როცა ერთი მეორისათვის თმაში ხელები წაგივლიათ!

— ჰო-და სწორედ ვისვენებთ, აქამდინ მუშტი-კრივი გვქონდა და დავიქანცეთ და ეხლა ვისვენებთ სანამ ხელმეორედ დავიწყებდეთ.

## სამეურნეო ცნობა

მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა) (შემდეგი *)

ადრეგაზაფხულის რაგზეკ ვარდის სახელება, რომლებიც გამოსადეგნი არიან ადრეულა გამრავლებისათვის (для ранней выгонки).

| № | ვარდების სახელები. | წელიწადი მოშენებისა. | თვე ყვავილობისა. |
|---|---|---|---|
| 35 | ბ. კატერინა გილიო. | 1860 | მარ. |
| 36 | რ. კაპიტან კრისტლი. | 1873 | „ |
| 37 | ბ. კარმოაზინ სიუპერიორ. | 1837 | „ |
| 38 | ც. სენტიფოლის მაიორ | — | „ |
| 39 | ც. სენტიფოლის მირონ | — | „ |
| 40 | რ. სენტიფოლის როზეა | 1869 | თებ. |
| 41 | ტ. ჩარლს რაიბო. | 1866 | აპრ. |
| 42 | რ. ჩარლს ლეფევრ | 1861 | „ |
| 43 | რ. ჩარლს ლამბ | 1884 | მარ. |
| 44 | რ. ჩარლს მარგოტინ | 1865 | „ |
| 45 | რ. ჩარლს ტურნერ | 1876 | იან. |
| 46 | ტ. კლერ სილვენ | 1867 | მარ. |
| 47 | რ. კლემანს დე ლა რიუ. | 1859 | იან. |
| 48 | ტ. კლემან ხაბონანდ. | — | „ |
| 49 | ტ. კონტეს დე პარი. | 1839 | თებ |
| 50 | ტ. კონტეს დე ნადაიაკ. | 1871 | მარ. |
| 51 | ტ. კონტ ტავერნა | 1872 | იან. |
| 52 | ტ. კონტ უვაროვ | 1870 | აპრ. |
| 53 | რ. კონტეს დე მარენნეს | 1846 | „ |
| 54 | რ. კონტეს სეცილია დე მაბრილან | 1859 | იან. |
| 55 | ტ. კონტეს რიზა დიუ პარკ | — | აპრ |
| 56 | რ. კონტეს დე სერნიჯ. | 1875 | მარ. |
| 57 | ტ. კომეტ დე ლიონ | 1872 | „ |
| 58 | რ. კომეტ დეს ალპ | 1868 | „ |
| 59 | რ. კომეტ დე ბლანშ. | 1873 | იან. |
| 60 | ტ. დევონიენზის. | 1838 | მარ. |
| 61 | ტ. დესტინგტონ. | 1880 | „ |
| 62 | რ. დიუკ დე გარკურ. | — | „ |
| 63 | ტ. დიუკ დე მაგენტა | 1860 | „ |
| 64 | ტ. დიუკ დე ედინბურგ. | 1876 | „ |
| 65 | ტ. დიუშ. დე ედინბურგ | 1859 | „ |
| 66 | რ. დიუშეს დე ნოვოლკ | 1860 | „ |

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 844.

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

სომხურ გაზეთების რიცხვი სტამბოლში. ამ დღეებში „ნორ-დარ“-ში დაიბეჭდა პატარა შენიშვნა, სადაც აღნუსხულია შემდეგი განცხადებები. სტამბოლში იბეჭდება შემდეგი გამოცემანი:

„ვიზანტია“ ყოველ დღიური, იბეჭ. 2300 ც. „არეველიქ“ 1300 ც. „ქერიტე შარიე“ ოსმალურ ენაზე იბეჭდება სომხურის ასოებით. ამას კითხულობენ ის სომეხნი, რომელთაც სომხური ანბანი კი იციან და სომხური ენა კი არა 800 ც.

„მექმუალი ახპარ“, იბეჭდება სომხურის ასოებით ოსმალურს ენაზე, სომეხთ იმ კათოლიკეთათვის, რომელთაც სომხური ენა არ იციან 250 ცალი. „მან ზუეგ ევფქიარ“, სომხურის ასოებით, ოსმალურს ენაზე, 600 ცალი. „ბირკონ“, „ავეტობერ“ სომეხთ პროტესტანტების 2000 ცალი. „ფუნჯი“, 600 ცალი. „ჰანრაგიტაკ“, 800 ცალი. „ლუისი“ 800 ცალი, „ნაღაკ“ 800 ცალი, „მასის 1000 ც.

სტამბოლს გარდა სხვაგანაც იბეჭდებიან სომხური გამოცემანი.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

14 ივნისი

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბრძანებია: 1) იმ ფულის დასამატებლად, რომელიც გადადებულია ამ ჟამად ანუ ნება-დართულია გადასადებად დღემდე, გაიცეს სახელმწიფო ხაზინიდგან სამაზრო და საქალაქო სასწავლებელთა შესანახად: 1900 წელს—50,000 მან., 1901 წელს—100,000 მან., 1902 წელს—150,000 მან, 1903 წ.—200,000 მან. და 1904 წლიდგან—250,000 მ. წლიურად. 2) უფლება მიეცეს საერო განათლების მინისტრს გასცეს ეს ფული ფინანსთა მინისტრთან წინდაწინ მოლაპარაკებით და განსაკუთრებულ ნება რთვის აუღებლად.

პარიზი. აი დედანი სამინისტრო დეკლარაციისა, რომელიც წაკითხულ იქმნა პალატაში ვალდეკ-რუსოს მიერ, ხოლო სენატში მონასის მიერ: „პალატამ, გარდა სწყვიტა-რა მხარი დაუჭიროს მხოლოდ ისეთს მთავრობას, რომელიც თავგამოდებით დაიცავს რესპუბლიკის დაწესებულებათ და უზრუნველ ჰყოფს საზოგადოებრივს წესიერებას, ნათლად განსაზღვრა საგანი ახალის კაბინეტისა, რომელიც გამსჭვალულია ამ საგნის შესრულების ძლიერის სურვილით. რადგან საქმე საზოგადო საკუთრების დაცვას შეეხება, ამის გამო ჩვენ ვგონებთ, რომ დასთა განხეთქილება უნდა დაიჩრდილოს, და რომ საქმე, რომელსაც ჩვენ უნდა შევუდგეთ, მოითხოვს ყველა რესპუბლიკელთა თანამონაწილეობას. რაკი საგანი აშკარაა, რაკი ეს ხსნა ივლის მეთოდისა და მოძღვრების თანახმად, ამიტომ მორიგების მიღწევა არ არის ძნელი: აზრთა სხვა-და-სხვაობა მოისპობა ერთისა და იმავე მოვალეობის ასრულების საჭიროების გამო. იმ აგიტაციის მოსპობა, რომელიც მიმართულია არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ;—სამსახურის ყველა ნაწილში ერთგულის დახმარებისა და მხნეობის მოთხოვნა,—აი რა უნდა შეადგენდეს მთავრობის საზრუნავს საგანს. არ იქმნება დამოკიდებული მისგან, თუ მართლ-მსაჯულებას არ შეეძლება თავისის მოვალეობის შესრულება, თუმცა სრული დამოუკიდებლობით სარგებლობას. მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი აიძულოს ყველანი პატივი სცენ ყოველს განაჩენს. ის არ განასხვავებს იმათ, რომელთაც უმთავრესად დავალებული აქვთ ადამიანთა გასამართლება, და თუ ისინი ქვეყნის სურვილს სახეში მიიღებენ, მაშინ მათი გადაწყვეტილებანი მომზადდება სიმშვიდისა და პატივისცემის ნიადაგზედ. ინტერესთა პირველს ადგილზედ ჩვენ ვაყენებთ ჯარს, რომელშიაც მესამე რესპუბლიკამ ისეთი ფართო ცვლილებანი შეიტანა, რომ ის ერთსა და იმავე დროს არის სიმბოლო საფრანგეთის უშიშარ მყოფობისა და სიამაყისა

პარიზი. სამინისტრო დეკლარაციის განგრძობა. ბოლო უნდა მოეღოს ერთმანეთის გამამწვავებელ შეკამათებას, რომელიც ცუდად ემსახურება ერის ინტერესებს, და დადგენილ უნდა იქმნას მოკლე ხანში ის კანონები, რომელნიც საჭირონი არიან სახელმწიფოს მოქმედების წესიერ მსვლელობისათვის. თუ ჩვენი მეცადინეობა არ დარჩა უნაყოფოდ, რესპუბლიკა მალე ხელ-ახლად შეუდგება ეკონომიურისა და სოციალურის პროგრესის საქმეს. ჩვენ დარწმუნებულნი ვიქნებით, რომ შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა, თუ მოვახერხეთ ხელ-ახლად გზის გაწმენდა პოლიტიკისათვის, რომელიც სცდილობს მოსპოს ყოველივე ის, რასაცკი ჩვენს შორის აზრთა უთანხმოების გამწვევა შეუძლიან, და შექმნას ის, რაც კი გვაერთებს

15 ივნისი.

პეტერბურგი. ბიულეტენი. მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ხელმწიფა იმპერატრიცა და უმაღლესად ახლად-შობილი სრულიად კარგად ბრძანდებიან.

პარიზი. (ამ დეპეშამ ძალიან დაიგვიანა: იგი შეიცავს სამინისტროს დეკლარაციის შუა ნაწილს და უნდა ჩართულ იქმნას გუშინდელ ორ დეპეშის შუა), როგორც ყველა შესანიშნავი მხედართ მთავარნი, ჩვენც იმ აზრისანი ვართ, რომ სრულის დისციპლინის და წეს-რიგის დაცვა პირველი და არსებითი თავდებია ჯარის სიძლიერისა. ჩვენ ვაპირებთ თანაბარი თავ-გამოდებით დავიცვათ ჯარი როგორც მის მოწინააღმდეგეთა

გან, ისე იმათგან, რომელნიც ყოველად უკადრისი თხოვნით მიმართავენ მას. ჩვენ, ისე როგორც ყველა იმათ, ვისაც საფრანგეთის ზნეობრივი ერთობა აუცილებელ პირობად მიაჩნია მისი კულტურული დანიშნულებისათვის, ყველაზე უწინ ისა გვსურს, რომ დამყარდეს მშვიდობა. ეს მალე მოხდება, თუ ყველა და თვითეული უარ ჰყოფს თვით მსაჯულებას ანუ სასამართლოს განაჩენებს და ქედს მოიხრის კანონის წინაშე ჩვენ-მიერ ჩვენის მოვალეობის ასასრულებლად და ყველა ჯეროვანის ზომების მისაღებად ჩვენთვის საჭიროა პარლამენტისაგან ხელის შეწყობა და სრული მისი ნდობა, დაე გაგვასამართლოს ჩვენის მოქმედების და არა დაპირების მიხედვით ჩვენ ვთხოულობთ უფრო ფართო უფლებებს, მაგრამ იმავე დროს ვკისრულობთ მის წინაშე უმეტეს პასუხმგებლობას.

**პარიზი.** სენატი. სამინისტრო დეკლარაციის აღტაცებულის ტაშის ცემით მიეგებნენ გიუოს შეაქვს შემდეგი წინადადება: „სენატი სახეში იღებს მთავრობის დეკლარაციას და, იმედი აქვს რა მისს სიმარჯვე სიმტკიცისა რესპუბლიკის დაწესებულებათა და საზოგადოებრივის წესიერების უზრუნველ ყოფის საქმეში, გადადის მორიგს საქმეებზედ“. ეს წინადადება მიღებულ იქმნა 187 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 25 ისა (ტაშის ცემაა). სხდომა დაიხურა.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. დიდძალი ხალხი ჰგროვდება და დიდი მოძრაობაა. სადიპლომატიო ტრიბუნაში იმყოფება თავადი ურუსოვი და მონსონი. სხდომის დაწყების დროს რამდენიმე სოციალისტმა წამკითხველს ხმაურობით კითხვა შეაწყვეტინა. ვალდეკ-რუსოს ტაში დაუკრეს, როცა მან განაცხადა, მე მოვახერხებ ვაიძულო ყველანი პატივი სცენ კონსტიტუციასა და მართლმსაჯულებას და შევაძლებინებ უკანასკნელს შეასრულოს თავისი საქმე სრულიად თავისუფლადაო. დეკლარაციის უკანასკნელ ნაწილს ტაშის ცემით მიეგებნენ მემარჯვენენი და ცენტრი. სოციალისტი როში შეეკითხა მთავრობას მისი პოლიტიკის შესახებ. ორატორმა მთავრობას ის ბრალი დასდო, რომ ეს არის მთავრობა ბრძოლისა, მთავრობა გამოწვევისაო. შემდეგ ორატორმა სასტიკად ჰკიცხა გალიფე (წინააღმდეგობაა), სოციალისტმა მირმანმაც გაჰკიცხა გაბინეტის შედგენილობა.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. მირმანი, რომელიც სასტიკად ჰკიცხავდა გალიფესა და ლანესანს, მოსთხოვეს, წესიერებას ნუ არღვევთო. სოცილისტმა ვივიანმა განაცხადა, მე და ჩემი მეგობრები ხელს შევუწყობთ კაბინეტს ცეზარიულ და კლერიკალურ რეაქციის საწინააღმდეგო ბრძოლაშიო (ტაშის ცემაა სოციალისტების სკამებზედ). ვალდეკრუსსომ განმარტა, თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა კაბინეტის შედგენის დროს. მეო, სთქვა მან, მასულდგმულებდა 12 ივნისის კენჭის ყრა, რომლითაც პალატამ რესპუბლიკის დაცვა მოისურვა, მე წინდაწინვე ვხედავდი იმ კრიტიკას, რომელსაც კაბინეტის შედგენილობა გამოიწვევდა. უეჭველია, რომ მრავალ პოლიტიკურ და ეკონომიურ საქმეში მინისტრების შეხედულებანი ერთმანეთს არ ეთანხმებიან (სიცილია მემარჯვენეთა მხარეზედ), მაგრამ ისინი მისდევენ ერთსა და იმავე აზრს, რომელიც ყველა ამ დავაზედ მაღლა სდგას. ეს აზრია ყველა რესპუბლიკელთა ერთობა (სხვა და სხვა გვარი მოძრაობაა). თვითეული დღევანდელი მინისტრი გამოჰხატავს რესპუბლიკის იდეალს (ორატორს სიტყვას აწყვეტინებენ. ყვირილია. დეშანელი ქუდის დახურვას აპირებს) სამინისტრო უკვე იძულებული შეიქმნა იკისროს პასუხის გება ზოგიერთ საქმეში, მაგრამ ის ჰგონებს, რომ შემდეგი ნაბიჯების გადასადგმელად მას პარლამენტის დახმარება ესაჭიროებაო. (ტაშის ცემაა მემარცხენეთა მხარზედ. ხმაურობაა მემარჯვენეთა მხარზედ). ვალდეკ-რუსსო განაგრძობს სიტყვას.


იყიდება

„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში

იაფ-ფასიანი

სახალხო გამოცემანი:

თავ. ილია ჭავჭავაძე . 2 „
ალექსანდრე ყაზბეგისა 2 „
სპარსეთის მეფე და ქართველი ტუზი . . . . 2 „
პატარა ბიბლიოთეკა . . 2 „

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.

მსურველნი მიჰმართავენ („ცნობის ფურცლის“ რედაქციას. 30—29)

დაიბეჭდა და გაისყიდება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

თხზულებანი

## ა. ს. პუშკინისა

ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიით

ფასი 50 კაპ.

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:
1) Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) Коммерческой ариѳметики (банковыя и торговыя операціи),
3) Ариѳметики на счетахъ.
4) Коммерческой экономіи,
5) Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеній**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій— 1-е число каждаго мѣсяца

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеромъ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71.** (100—34)

### ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ
### НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ
### для самообразованія

# МІРЪ БОЖІЙ

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ, листовъ.*

1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и при томъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія предполагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЛЕТРИСТИКА ОРИГИНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. Вербицкой; «Риштау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Артура (путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), разк. Ю. Безродной; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Горькаго; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; разсказы г.г. Бунина, Патапенко, Станюковича, Чирикова

**Научныя статьи и сочиненія.** «Антропологическіе очерки» проф. Бранта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», .В Битнера; «Чарльзъ Парнель», Ев. Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», часть Ш. П. Милюкоа. «Александръ 1 и его время», А. Прѣсякова: «А. С. Пушкинъ (юбилейная статья) Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Иванова «Ада Негри», В. я Фритче: «Очерки по соціальной экономіи», прив.-доц. М Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Крживицкаго; «Положеніе труда въ Аангліи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріусъ и эмпиріокритицизмъ», проф. Ф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, ея настоящее и будущее, д-ра философіи В. Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной философіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Религія красоты» (джонъ Рескинъ и его идеи), Сизеранна; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки, техники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тайныхъ обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки. Изъ западной литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Текущія научныя новости. Библіографія. Новости иностранной литературы.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкой и пересылкой во всѣ гороса Россіи на годъ 8 руб о всѣ
Безъ доставки на годъ . . . . . 7 »
За границу на годъ . . , . . . 10 »
Вмѣсто разсрочки допускается подписка:

| По полугодіямъ; | по третямъ года: |
|---|---|
| Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р. | Съ доставкой и пересылкой в города Россіи; въ январѣ . , . 3 р. » маѣ . . . . 3 р. » сентябрѣ . . . 2 р. |
| За границу . . . 5 р | За границу: въ январѣ 4 » » » » маѣ . . 3 » » » » сентябрѣ . 3 » |
| Безъ доставки по соглашенію конторой | |

Адресъ: С.-Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку безъ повышенія подписной цѣны

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница *А. Давыдова*. Редакторъ *В. И. Острогорскій*


Дозволено цензурою. Тифлисъ 16 Юня 1899 г. ... რედაქტორ-გამომცემელი ...